

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს

|      |      |    |      |      |    |
|------|------|----|------|------|----|
| ოქტ. | მან. | კ. | ოქტ. | მან. | კ. |
| 12   | 10   | 6  | 6    | 6    | 6  |
| 10   | 9    | 5  | 5    | 5    | 5  |
| 10   | 8    | 75 | 4    | 4    | 75 |
| 9    | 8    | —  | 3    | 3    | 50 |
| 8    | 7    | 25 | 2    | 2    | 75 |
| 7    | 6    | 50 | 1    | 1    | 50 |

ცალბე ნომერი—ერთი შურა

# ი ვ მ ი რ ი ა

გადასწავლა და კერძო განცხადებათა დასაწყისი უნდა მივმართოთ: თვითონ რედაქციას, კუროში, ავჯალის ქუჩაზე, გარსვიის ძეგლის პირდაპირ, ან: გრუნისკის სკოლაში: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში, სთავად-საწერი ბანკის სასტუმროს, სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: რეკლამები სტროქონი რვა კაპიტო.

1877—1893

ს ა ზ ე თ ი ღ ი რ ს და ს ა ზ ე თ ი ღ ი რ ს გ ა ზ ე თ ი

1877—1893

### ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 27 იანვარს,

ქართულ დრამატულ საზოგადოებას არტისტებისაგან წარმოადგინა შემდეგად:

პირველად ახალი პიესა თაგ. დავით ურასთავის

## საზოგადო სექსე

კომედია 4 მოქ. ჩვენის ცხოვრებიდან

### II

არც იქით—არც აქით

ვოდევილი 1 მოქ. ვაღბო. ვ. გულის მიერ მონაწილეობას მიიღებს მიუღი დასი. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

აღმოსტრატორა გ. გუნაა

კვირას, 31 იანვარს, დღის 11 საათზედ, სთავად-საწერი ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება „სსსლუბის“ ბუნების ამსწავლისათვის“

განსახილველია შემდეგ საკვება:

- 1) ანგარიში „აშხანავობის“ მოქმედების წარსულ წელს,
- 2) არჩევანი გამგეობის წევრთა და 3) ახალ ამხანაგების არჩევანები.

კრებას შეუძლიან დაესწრონ წევრნი და აგრეთვე ისინი, ვინც განაცხადებენ სურვილს წევრობისა და წარმოადგენენ საწევრო ფულს არა ნაკლებ ერთის თუმცისა. (ნ-4)

### წლიური საზოგადო კრება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა კრება, თანხმად საზოგადოების წესდების მე-11 §-სა, დანიშნულია კვირას, იანვრის 24, დღის 10 საათზე, სთავად-საწერი ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საკვება:

- ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედების 1-ლ სექტემბრიდან 1891 წ. 1 სექტემბრამდე 1892 წ. ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის შესახებ 1892 წ. წლისათვის და გ) არჩევანი საზოგადოების ახლის წევრებისა. (ნ-5)

## ახალი ამბავი

გუშინ, 22 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოში უნდა გაესმარათლებინათ მღვდელი ტერ-კოსტანტინე არარატინი და დურგალი მნაცკან მელიქიანი, რომელთაც პარალელბათ ხიდის ცუდად გაკეთება და ამის გამო ჩატყნა შარშან წყალკურთხევა დღეს; მაგრამ, რადგანაც უმთავრესი მოწმები არ გამოცხადდნენ, საქმის განხილვა სადღეისოდ გადადო.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ბანკის თეატრში 30 იანვარს საოვე-

რეტო დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ოპერეტი „პოკაჩო“. ერთი ნაწილი შემოსავლისა გადაიღება ს. ნორიოში გამართულ სახალხო უფასო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. ბიბლიოთეკა ნორიოში დააარსა კანალატოზიშვილმა და ერთი მხათავე მმართველს ზემოხსენებულს წარმოდგენას. იმედია, ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობას აღმოუჩენს ამ საქმეს.

ჩვენის გაზეთის მკითხველს, უმჯობესია, ესომება, რომ განდა თუ არა ბაქოში ხოლერა შარშან ზაფხულს, კავკასიის სამეურნალო მმართველობის გამგებელმა ბნმა გლავაკიმ მოიწვია ახალგაზდა ექიმ-ნალნი და სთხოვა, უარი არ ეთქვათ და წასულდენენ საქმიოდ იქ, საცა მათი ცოდნა, შრომა და ენერჯია საქირა იყო ხოლერისაგან დაფთვებულის ხალხისათვის. ყველაზედ უწინარეს თანხმობა გამოაცხადა ბაქოს გუბერნიაში წასულს ახალგაზდა ექიმმა გ. ი. ბროძელმა, რომელიც მანქანე იქნა ვაგზაზელი ბნ გლავაკის მიერ ბაქოს გუბერნატორთან. თითქმის შვიდი თვე იღვაწა ბნმა ბროძელმა ბაქოს გუბერნიაში, უკანასკნელ დროს მუშაობდა ქ. ლენქორანში, სპარსეთის საზღვარზე მდებარე ქალაქ ასტარაში და დღეს, რადგან ხოლერა სრულიად მოიშალა ბაქოსა და ლენქორანის მარშაშიც, დაბრუნდა თავის სამშობლო ქალაქ ტფილისში. საიმედოებით აღენიშნაეთ ასეთ ერთგულ და თავგამოდებულ მოღვაწეობას ჩვენის ახალგაზდა ექ-

იმების, რადგან, როგორც მკითხველმა იცის, ბნ ბროძელთან ერთად იმავე ხოლერობის დროს იღვწოდნენ ბაქოსა და განჯის გუბერნიაში მისი ამხანაგები ბნი ი. ბარაზიშვილი და ივ. ხოჭორია, რომელთაც ერთად შეესარულეს ხარკოვის უნივერსიტეტი.

ივრის ხეობის მინდვრებზედაც დიდ-ძალი თავი გაჩენილა. ამბობენ, რომ ეს თავი საშინლად გაძლიერებულა და მოელს ნათესობას ემუქრება განადგურებას. კავკასიის უმაღლეს მთავრობას განუზახავს მკოლმე კაცი ვაგზაზელის იმ მხარეს ამ უბედურების წინააღმდეგ რაიმე ღონისძიების მისაღებად.

ამ მოკლე ხანში თ. დიმიტრი თუმანიშვილი წაიკითხავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ერთ-ერთს კრებაზე თავის მოხსენებას ელევტორების დამართვის შესახებ საქართველოში.

ჩვენ შეიტყობთ, რომ ამ ეკონომიკურ-სამეურნეო და სასოფლო სამეურნელო დეპარტამენტი პეტედას დიდს თხოულებას კახეთის მრეწველობის ინსანებ. ეს თხოულება დაუწვია ინკინერ კონსტანტინე ხატისოვს. ამ თხოულებაში აწერილია, სხვათა შორის, ყოველ-გვარი სოფლად გავრცელებული მწარე მრეწველობა (кустарная промышленность). თხოულებაში ჩართულია ყოველ-გვარი შესაფერი სურათებიცა.

ამას წინადა რამდენიმე კერძო მკოდნე კაცმა შემომავა უმთავრესი საფუძველი, რომელზედაც უნდა დამყარდეს დაარსება კახეთის ღვინის გასაყვლის საზოგადოებისა. ღვინის გამო უკვე იარი კრება იყო ამ ბოლო ხანებში. შეგვიძლია იყო წესდება ყოველ ამ გვარ საზოგადოებათა რუსეთში და რამდენიმე უცხოეთისაში. როგორც შევიტყუთ, ამ საგნის თაობაზე ზემოხსენებულ მკოდნე კაცთ კიდევ რამდენიმე კრება ექმნებათ შესამუშავებლად უფრო ვრცელისა და ჩვენის ქვეყნის საქირობებთა შესაფერის წესდებისა.

ჩვენ მივიღეთ გიორგიმ შემადგეი წერილი ქ. მარიამ გიორგის ასულის ერისთავისაგან:

ამ წლის იანვრის 12-ს ქ. გორში გამართულ იქნა ქართულ-რუსული წარმოდგენა ცხოველის სურათებით და დღევანდელს მსარგებლოდ განზრახულ ქართულ დღეათა გინანთისა... იმ მუშავად და უნდა გარი მონაწილეობისათვის, რომელიც მიიღებს სხენებულ წარმოდგენაში, გულითადად მადლობას მოგახსენებ ჰქვამდეს დასახლებულ პატივცემულ პირთა: ბნ მარიამ ივანეს ასულს წერეთლისას, მღვანია ყვანდის ასულს ხერხეულიძისას, ალექსანდრა ივანეს ასულს ფლავიანდიშვილისას, ანასტასია გიორგის ასულს ერისთავისას, ელენე გიორგის ასულს ერისთავისას, ნინო მიხეილის ასულს ზოდინისას, და ბნ-ნთ: პატივცემულს პოლკოვნიკს ალექსი ვისლის ძეს შვაფრის, რო-

## ფელეტონი

### პედაგოგიური შემოღობა.

„ახალი ანბანი“, აღნიშნულია. წიგნი 1. ანბანი. წიგნი II: ხალხური ლექსები. წიგნი III: წერილი ამბები. წიგნი IV: წერილი ამბები. წიგნი V: გასართობი. ტფილისი, 1892 წ.

„О дѣти! дѣти! Вы так слабы физически, так слабы нравственно! Сколько у вас враговъ и янхъ и тайныхъ! Вамъ угрожаютъ прорѣзываются у васъ зубы, оспа, корь, скарлатина; крупъ: это ваши враги явные. А сколько у васъ такихъ враговъ, которые отъ искренняго сердца считаютъ себя вашими друзьями: дражайшіе родители, милыя тещины, вѣжнныя бабушки, кормилицы, няньки, учителя, учебныя книги и, наконецъ, эти миленькія книжки съ картинками, которыя изданы для васъ подъ обиднымъ названіемъ „детскихъ книжъ“. Охъ, эти мнѣ дѣтскія книжки!“

ბელისკი. (მ-ჯ. ტ. 33: 33)

I გამომჩენილი პედაგოგები, გამოჩენილი კრიტიკოსები და, საზოგადოდ, დიდებულნი მწერალნი იმ აზრისადაც, რომ ენაწიველებისთვის წერა ერთი-ათად, ერთი-ასად ძნელია, ვიდრე დიდებისთვისა. მეგრე რა

თუ მარტო ცხოველის გონების გამოხატულება (воображение), არამედ ცხოველ-მყოფელი, პოეტური ფანტაზია, რომელსაც შეუძლიან ყოველი ცხოველ სურათებზე წარმოადგინოს. რასაც ვერცხვია, საქირა აგრეთვე სუფიარული ყმაწილეებისა, ზედ-მიწვენილი ცოდნა მათის მოახერხებებისა, მათის თავისებურებისა“ \*).

ასე ძნელია წერა საყმაწვილო წიგნებისა. იქნება ადგილი იყოს შედგენა? აქ რა დიდი საქმე უნდა: შეკრიბე საუკეთესო ნაწერები და ერთ წიგნად გამოეცი.

მაგრამ, სამწუხაროდ ზოგიერთათვის, არც ეს საქმე ყოვილა ადვილი. გამოჩენილი რუსთა პედაგოგი უშინსკი ამბობს: „ყველაზედ დიდი, ყველაზედ ძნელი საგანი მივლს დიდაქტიკაში პირველ-დაწყებითის წიგნის შედგენა“. ი. მერე, რათა ყოველი ეს საქმე ასეთი ძნელი? იმიტომ რომაა, ამბობს სახელგანთი პედაგოგი კერი: პირველ-საკითხავი წიგნი არის საფუძველი, ცენტრი სრული პირველ-დაწყებითის სწავლისა. ცოტათი განმარტავთ ამ აზრს. ბევრია, რომ პირველ-საკითხავის წიგნი ათავებს სრულს თავის განათლებას. ასეთ მღვდომარებაშია უფრო ერთ-

მა ნაწილი ჩვენის გლტობისა. აი ასეთებს პირველმა წიგნმა უნდა მისცეს ყოველისფერი, რის მიცემა-კი მოიხერხდება: ცოდნა დედა-ენისა, არითმეტიკისა, საღმთო რჯულისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა, ბუნების მეტყველებისა და სხვა-და-სხვა.

ეს როგორ-ღა შეიძლება? ეს საღვინო-ღა, დიდახებს ბევრი. ამა კიდევ ამიტომ მოგახსენებთ უშინსკი, რომ ყველაზედ ძნელია ეს საქმე. შეუძლებელი-კი არ არის და უძენდეს-კი გახლავთ. თუ ჩვენში გაადილეს ეს საქმე, გაადილეს ფორთა, გარვენობით და არა არსებით: წიგნი წიგნსა ჰგავს. ჩაიხედეთ უშინსკის „Родное Слово“-ში და ჩვენებურ, შინ-გამომცხვარ პედაგოგების წიგნებში. იქაც ანბანი, აქაც; იქაც იგაგები, ზღაპრები, ანდაზები—აქაც; იქაც ლომი, თხა, მგელი—აქაც. მორჩა და გათავდა. საქმეში ჩაუხედავო კაცი იმ აზრს ადგება, რომ ჩვენს კარგი სახელმძღვანელო წიგნები გვაქვს, ჩვენც ჩინებული საყმაწვილო მწერლები გვყავან, ჩვენც ჩვენი მწიგნავები არ გვაკლან... და მეგრე რამდენი?.. რუსები რომ იტყვიან, ХОТЬ ОТВАЯИ.

ჩვენში რას არ გადავიღებენ ხოლმე! კაცი, რომელიც ათს ასოს ვერ დასვამს ისე, რომ თერთმეტი შეცდომა არ მოუვიდეს, გულ-მოადგინედ ზემოხსენებულს

\*) ბელისკი. ტ. III, გვ. 513.



რადღებდა არ მიეცა. პირველად — მოთავსდნ ამ საქმის ბრძანდებლად მარამ ვიგორის ასული ერისთავისა, რომელსაც მთელი ჩვენი ქალაქი კარგად იცნობს და რომელსაც ყოველი შვედენელი აქაური ოჯახი გულთბილად პატივისცემით შესტკვრია. მეორედ — თითო აზრით წარმოდგენის პატივისცემულ მოთავსდნ ისეთი აერჩია, რომელიც ყოველ ქართველისათვის დიდად საუფლისწუროსა და დიდს შრომისა და ზრუნვის ღირსია. ამ მოვასხენებთ იმ დედათა სასწავლებელს, რომლის გამართვა განზრახული იქნა ტფილისში ცალკე დედათა კომიტეტს, პატივისცემულ მარამ ვაზარის ასულის ობობლიანის მოთავსებამ. მესამედ — სხვადასხვა ფერობა წარმოდგენის: გარდა იმისა, რომ ქართულ წარმოდგენისათვის რუსულიც იყო აღნიშნული, ამასთანავე გამოცხადდებოდა იყო, ცხოველი სურათები იქნება და კითხვა სტენოგრაფიისა. ყველა ამ მიზნებში ფეხზე დადგან მთელი ჩვენი საზოგადოება და ამ თვისი 12-ს სადამოს ვაზრეული ხალხი მიაყრდა საზოგადო კლუბის დარბაზს, სადა იყო გამართული სტენოგრაფიის უფრო მთელი სათეატრო კარგად მოზდილი დარბაზი გაიქცა ხალხითა, რომელმაც რადენსამე წამს სრულიად დაიტაცა ბილითები. მსურველნი ბლომად მიდი — მოდიოდნენ კიდევ, მაგრამ მიღებუბისა და აღვილის უქონლობის გამო, სამწუხაროდ, უკანვე ბრუნდებოდნენ.

რვა საათზე დაიწყო წარმოდგენა. პირველად საზოგადოება დასტყუბათიხის ცხოველის სურათის ნახეთა. ეს სურათები იყო „ვეფხისტყაოსნისა“ და საუბუხოვოდ, სავანებოდ მოჩვენებულთ. შემდეგ ამას მოჰყვა ქართული წარმოდგენა. მართალია, პიესა („ბაიუში“) უმინარსოა, უფრო იყო, მაგრამ მისმა წარმოდგენამ მაინც კარგად ჩაიარა. საზოგადოებამ ბევრი იცინა, ბევრი იხარხარა. ამ ჩვენ სვედა-ვარამანს დროში ხანდისხან ამასაც არა უშვას-რა; იმიდით, შემდეგისთვის იმითანა პიესას აირჩევნ, რომლის წარმოდგენა გულსა და გონებასაც რაიმე საზრდის მიაწოდებს. ამ წარმოდგენაში უფრო განსაკუთრებულ ყურადღებას საზოგადოების მიქცევა თავის სწავლებლთა შორის ეძლევა გიორგის ასულმა ერისთავისა.

ქართულ წარმოდგენას მოჰყვა რუსული წარმოდგენა. ამ პიესაში (предложение) მხოლოდ სამი მოქმედი და და შესდგება მარტო ერთის მოქმედებისაგან. ეს სინარტიკე პიესისა და გამოდილებსა სამთავ მოთავსდნა, რალა თქმა უნდა, საქმეს კარგად წყვივანდა. მართლაც, და, სამუდამო თეატრით განებიერებულ ადამიანსაც კი აღტყებშია მოიყვანდა და პატივცემულ სტენის მოყვარულთა ღობითანი თამაშობა. აქ თამაშობდნენ ორი პადაბორჩიკი: კალდოვსკი და ზლობინი თავის ახალგაზრდა დით ნინა მიხეილის ასულით. ქართულ წარმოდგენაშიც არ პორტუჩიკსა ჰქონდა მონაწილეობა მიღებულთ: იის. წერეთელს და ვლად. გვანახიას. აგრეთვე ცხოველ სურათებშიაც თვალსაჩინო ადგილები ეჭირათ პადაბორჩიკს რიკოვს და მაცუხელს. საზოგადოდ, სინარტიკე მოთხოვს ვალიართ, რომ მთელი ეს წარმოდგენა იყო ნაყოფი, პატივცემულ

მულ მოთავსდნ გარდა, ამ სამხედრო წოდების ახალგაზრდა ხალხისა. ამათვის თითქო არც დადლა არსებობდა სადმე, არც სიკვებ და არც სხვა რაიმე დაბრკობება. უფრო-კი ბნი ზლობინი განსხვავდებოდა ყველასაგან თავის ერთგულებით და მუთაყონებით, არც იტყობით, რომ ამ ციკს არ მოეხერხებინა? სტენის გაკეთების დროს იყო ღურგალი, დეკორაციების დახატვის დროს — მზაგარი. იყო აგრეთვე პარკამბერი და ჩინებული არტიტი.

მართალია, ერისთავმა საუბუხოვოდ წარმოსტყა და რადენიმე ლაქში, ხოლო ს. მაგალიძე მხოლოდ რადენიმე სტენა ჩვენის გლეხ-კაცობის ცხოვრებდამ წაიკეთა. შემოსავლი დაახლოვებით იყო ოცდახუთი თუმანი; ხარჯი — ცამეტ თუმანამდე. მომეტებული ამ ხარჯისა მთურად ცხოველ სურათების გამართვას: ტანისამოსის ყიდვას და დეკორაციების დახატვას. რადგან საზოგადოებას ძრიელ მოგონება ცხოველი სურათები, ამიტომ მარამ გიორგის ასულს ერისთავისა განზრახვა აქვს ამ ციკა ხანში იმავ აზრით კიდევ გამართოს იგივე ცხოველი სურათები და მასთან გამართოს ქართული რუსული წარმოდგენაც.

— ვლი.

### სამსო მანათლუბის მინისტრის განაარგუბუბის ვაპო

„Руск. Вѣд.“-ში დაბეჭდილია საერო განათლების მინისტრის ცირკულარი საზოგადო სასწავლებლების უფროსებისადმი.

ცირკულიარი ებება დიდად მწვავე და საყურადღებო საგანს, — მასწავლებლების უმართებულთ მოქმედებას მოსწავლეთა შესახებ. მასწავლებლები რიგინად ვერ აფასებენ შევირდების სწავლა-მუყაითობას და ხშირად სკლის იწმინებთ აღენიშნენ ხოლმე. მასწავლებლებს ჰქონიათ ამით შევირდების გავრწმინდა, თითქოს „1“ და „0“-ებით ვისიმე გაუტონდა და გასწორება შეიძლებოდეს! სამწუხარო და საკალალაო ასეთი შეუვებლობა მასწავლებელთა და არ ცოდნა თავისი უწმიდეს მოვალეობისა. მოსწავლეს ვაყვეთილს უკიდინარობა სიხარბაცისა და უმეცადინეობისაგან-კი არ მიიღოს, არამედ უმეტეს შემთხვევაში, თეთი სასწავლო საგნის ნათლად გაუფრთხილებსაგან. მასწავლებელი მოვალეა სასწავლო საგანი ნათლად გაურკვიოს შევირდებს და ბინდ-ბუნდში არ დასტოვოს მოსწავლის წარმოდგენა. აი ეს არის მასწავლებლის წმინდა მოვალეობა და არა ფორმალურად სახელმძღვანელო წონებდამანაპოთხულის თუთაყუშვითი განუბრებთ.

ზოგიერთ მასწავლებელთა აზრით, მათი მოვალეობა მხოლოდ ისაა, რომ ახსნან გაყვეთილი, ჰკითხონ მეორე დღეს მოსწავლეს და ეურნალში სწავლის ნიშნის დასყან; ამის მეტს არავითარ ვალდებულებას მოსწავლეთა წინაშე არ კისრულობენ ამითანა მასწავლებელნი: ესმის შევირდს წაითხილი? რატომ არ იცის გაყვეთილი, რა მიზეზია შეუვებლობისა და უყინცობისა? — ეს იმით არ ვკითხვებით. თუ მოსწავლე „0“ და „1“-ის

ღირსია, ეს იგი, არა იცის-რა, არა გაეგება-რა გაყვეთილისა, განა პირდაპირი მოვალეობა არ არის მასწავლებლისა ვასწავრობის ეს „0“ და „1“-ები, ესე იგი უკიდინარ შევირდების გააგებინოს, შესწავლოს, გაურკვიოს სწავლის საგანი, და არა მხოლოდ „1“ და „0“ სწავროს, — მანზე ადვილი რალა? ან იმითანა ნიშნების წერას რა ვკითხი ნაყოფი მოაქვს? ან რა შუაშია აქ ცულის ნიშნების წერა? უნდა მივმართოთ ამ კითხვით ბ-თ მასწავლებელთ, იმიტომ რომ ისინი ჰკითხვენ ხოლმე გაყვეთილს ვერ ერთს შევირდს, თუ იმან არ იცის, — ახლა მეორეს, თუ იმანაც ცუდდ იცის, — მესამეს, მეორეს, და მეგრჯელ ისეც მიხვდება, რომ მთელმა კლასმა ამ იცის ვაყვეთილი. ამ შემთხვევაში განა აშკარად არა ხსნან, რომ გაყვეთილი ისე უნდა ახსნას მასწავლებელმა, მაგრამ ახსნას უწინდებურად-კი არა, უფრო მოუთქვებით, უფრო ვარკვეით. თუ შევირდს ვაყვეთილი არ იცის, იფიქროს, რა მისი ბრალია, არ უნდად გაგება და ძალად უარ-ჰყო ცოდნა? აქ სხვა უფრო დასაფურცლებელი მიზეზია, რომელშიც შევირდის სურვილისა და ხასითა წლით არ უყვები. „ედინიცების“ წერის მაგივრად, ეცადნე მასწავლებელი დასწავლული გაყვეთილი კლასშივე დასწავლონ შევირდებს. ესა თხოვლობს მათგან სახალხო განათლების მინისტრის და მათი წმიდა მოვალეობა.

## რუსეთი

„Гражданинъ“ — ში ვკითხულობთ: შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმე უცვლია, რომ სოფლებსა სახანა-სათეს მიწები საეროდ შემოქმდნ ხოლმე. ამ რიგად მოუსვლიან წლე-მში სოფელს რე აღარ შემოაკლდნება სარჩო, როგორც ამას წინად.

— „Вѣст. Евр.“ — ის იანგის წიგნში დაბეჭდილია წერილი ვერნერისა, რომელიც ამტკიცებს, რომ რუსეთშია მასწავლ-გარედ გაღის ნამეტანობა-კი არა ჩვენი პურისა, არამედ ის პური მიღის, რაც შინვე უნდა დარჩენილიყო ხალხის ვამოსაყვებად. ამ აზრს ვერნერი სასტატისტიკო ცნაბებით ამტკიცებს. ეს აზრი იყო გამოთქმული დრევე პროფესორის იანსონის მიერ. ამიტომაც, ამზობ ვერნერი, სასინარტიკო არ უნდა იყოს ჩვენთვის ეს ვარემოება, რომ საზღვარ-გარედ თან-და-თან უფრო მეტი მიღის პური, არამედ დიდად სამწუხარო და მეტად დასალონებელ — დასაფურცლებელი. შინ რომ ბოლი ტროადეს, გარედ ტრბლას რა უნდაო.

## უცხოეთი

ავსტრი - შინგრი. რეისრატის თავმჯდომარეს დ-რ სმოლკას, როგორც ეტყობა, უნდა თავი დასანებოს თავის თანამდებობას, რადგამ მეტად განუხლებდა და ყურთაც ძრიელ აკლია. განზრახვა აქვს, სახელმწიფო ხაზინილიამ დაენიშნოს ამ დიდად ღვაწლ-

მოსილს სახელმწიფო კაცს პენსია. დ-რი სმოლკა, თუმცა ისეთი დიდი ადვილი უქირავეს, როგორც არის თავმჯდომარის ადგილი პარლამენტისა, სიღარიბეშია თურმე და, ვაშაგირს გარდა, არავითარი ღონისძიება არა მოეპოვება-რა.

ჩების თავდაზნაურობა მაინც კიდევ წითელს კვებებს უგარებს ავსტრიულ გერმანელებს და არ უნდა მათი საწყენი მოიქმდნოს რამე. სწორედ იმ დღეს, როდესაც ჩნებთა კრება იყო და დასნი მორიგდნენ, ავტონომია მოვიპოვით და ჩვენი სახელმწიფო უფლებანი აღადგინით, თავდაზნაურობა გაუფხავნით წერილი შევიკალისათვის, ჩეხლებს ძრიელ გავინდა, მოვერიგდეთ ავსტრიულ გერმანელებსა. ამის გამო მლოდო-ჩეხების ვაზეთი „Narodni Listy“ გაცხარებთ ამზობს: ვაუწყებთ ჩვენს ფეოდალებს, რომ ჩვენის საკეთარის ხეილით არ მოვაწერთ ხელს ჩვენის სამშობლო ქვეყნის სასიკვდილო განჩენს. მათი წერილი-კი სწორად იხილთ განაჩენია... ერის დაუეთიხავალ ამით ნება არა აქვთ ჩების ერის სახელით მოლაპარაკება გამართონ ვისთანმე. არას დროს ვერ ასა ჰყვებოდა ფეოდალები, ერის დროს ისინი ვერ იქნებინან წარმომადგენელნი საზოგადო ინტერესებისა.

ვენის საქალაქო თეთი-მმართველობას ამ ვაზფუხდისათვის დიდ შენობათა აგება განზრახვას. აქაური ქარხნების პატრონთ შეუკრავთ პირი და უნდათ ამის გამო კარგად მოითბონ ხელი. რაკი აგრეთა, თეთი-მმართველობას თეთიონ გაუმართავს აქაური ქარხნები და ცარიელზე დაუსვამს ვენის ყველა მეგუბრანენი.

### პანამის სანძი

(სიტყვა შექალისა პარბუსი)

მე მოუთქმნალოდ მოველოდი, როდ დადგებოდა ჩემი რიგი. ვიდრე მთავარ პრაქურორი დაიწყებდა სიტყვას, ჩვენ უკვე ვიცოდით, რასაც იტყუდა. ჩემის აზრით, კოვლდ ვლარ საქმეში საქირა ბრალდებულმა ამ მომინონს, რამდენად დაშაზავეა ბრალდებულს, რამდენად სცილობდა იგი კანონის წინააღმდეგ ემოქმედნა. ბრალდებულმა ამ საქმეს უკულოდა არ მიაკცია ყურადღება და მხოლოდ იმას ვეგონებოდა, რომ ბრალდებულთ ბოროტ-მოქმედება ჩაიღინესო. ასეთმა საქციელმა მეტად ამაღელვა. შინ რომ მიველი, მაშინვე მივმართე წიგნებს ჩვენ მველ სასწავლებლებისს, რომელთაც, ჩემის აზრით, საქირა მივმართოთ ხოლმე ვაჭრეების და იის. ავიღე თხზულება ბარსისა და იმ რამეოვითა: „არც ერთი საქციელი დანაშაულობდა არ ჩაითლებმა, თუ ეს საქციელი ისეთ-მა კაცმა ჩაიდინა, რომელსაც ბოროტი განზრახვა არა ჰქონდა.“ ამიტომ საქირა იყო ბრალდებულს დამეტკიცებინა, რა ბოროტ-განზრახვა ჰქონდა ლენდო პანამის საქმეში ბრალდებულთ.

ბოროტი განზრახვა ჰქონდა ლენდო იმის მეტი არაფერი, რომ ფრიალდა მსაქმე ვატიცა: ლესკენსა მოილოდინა შეერთებისა რამდენიმე ასი მილიონი ხალხ, ვაგამათა ახალი გზა ვაჭრობისთვის და ნავოსნობისთვის. როგორც ოდესმე ჯვარონათა დასაქმების სურდად ქრისტეს საფლავი გაენთავისუფლებინათ და ამ

საქმე ვატიცა ქრისტინთა ერი, ისე ლესკენს ვატიცა დიდად საქმეს. ლესკენს მხენობა აღუქრა იმ რწმენამ-კი არა, რომლითაც ვატიცებულნი იყვნენ ჯვარონათა ლესკენს, არამედ სხვა რწმენამ, რომელიც ვატიცე არ არის, სახელდობრ, რწმენამ მეტნიერების კემმარტებისადმი. ყველა ვე შეუძლებელია, განხორციელდებოდა ოცნებათა, სოქვა ბრალდებულმა, მაგრამ განა ჯვარონათა ლესკენს-კი ვანაშთარცილებელი ოცნება არა მოქმედებდა? საზოგადოდ ჩვენ ძნელად შესასრულებელ ოცნებას იმან ვეცხიბთ, რაკ-კი არ განხორციელდება. მაგრამ ვაკობრბობისათვის დღეში არ უცხოვრია უოცნებოდ. და თუ დიდებულნი ერი ოცნებას თავს დაანებებს, მთე ამ ოცნებისთვის ვერ შესძლებს თხზულების შევირდა, ფულითა თუ საკუთარის სისხლით, მაშინ ამ ერის საქმე ვათავებოდა და მხოლოდ ის-ღა დარჩება, ხარცა ხარსავით წამოწვეს და იცონებოდეს; მაშინ ამ ერს უკვე უნდად ვანადგურება მიეთოს. (ამ სიტყვებსა საზოგადოებამ უნდა დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს.) შემდეგ ნიკერამ ვექლმა ვანაგოცო: მოიგონეთ, ბატონებო, ლესკენის წარსული და სუენის არხის ვაყვანის საქმე. ბრალდებულმა სოქვა, რომ სუენის არხის ვაყვანა ლესკენსისთვის ვაგურთხილდა უნდა ყოფილიყო. რატომ? იმიტომ რომ ამ არხის ვაყვანა ძლიერ ვანდგუდაო. მაგრამ ისე რომ ვაყვანეთ ეს საქმე, როგორც სოკს ბრალდებულთა, აღმოჩნდნება, რომ ნაშაღონასც მორენგოს ვანარკვების შემდეგ ქარქმადგან ხმლი არ უნდა აბოელო, იმიტომ, რომ მორენგოს სპობის დროს კინდამ დაამარცხდა.

სუენის არხის საქმე ლესკენსმა დამთავრა მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობა დაემატა. ლესკენს რომ ეს საქმე არ დაეშთარებინა და არა ვაგამარჯვა, მაშინაც ისე ვაჭკვივდნენ და იტყუდნენ, ამ საქმის ვანხორცილება შეუძლებელიაო. სუენის არხის კუთხებვის დროს ერამ მიღებულ ლესკენს კოლუმბს ვადარა. დიდად, უკვედგამა კოლუმბსაც ვაგონდა უშაღურობა ხალხისა. კოლუმბსაც ცოლი დასწამეს და დაბარალეს, ისანისი მილონების თითონ უნდა განახიბოს, და მეფის ბრძანება იყენ-ში ბოროტ-გაყრილი მოჰგვარეს ისანისი მეფეს იმვე გემით, რომლიც თუ კოლუმბსმა თავის მეფეს მთელი ახალი ქვეყანა აღმოუჩინა. შემდეგ კოლუმბსაც სურვილით ეს ბოროტი საფლავში ჩაატანეს და იქ იჩაუნება ოთხისას წლის ვანმავლობაში. (ამ სიტყვებმაც საზოგადოება დიდად ააღელვა.)

შემდეგ ვექლმა წაიკეთა რამდენიმე წერილი ლესკენსსა და დასძინა, რომ ეს წერილები დაუმტკიცებნ სასამართლოს, რა ძნელი იქნება იმ კაცისთვის, რომელმაც მთელი თვისი სიცოცხლე ბრძალაში ვაატარა, ეს-ღა სიზერიის დროს, უარი უუბრან იმ საქმის ვანხორცილებამზე, რომელიც იმის ერთად ერთს სვეყარლს ოცნებას შეადგენს. აქციების პატრონებმა, სოქვა პარბუს, თითონ ვანიშნეს და დაამტკიცეს პანამის ათხისთვის საქირა ფლის ხარჯთ-აღრიცხვა და თითონვე ვადასდეს ის ფული, რომელიც საქირა იყო ვაზუთებში ვანცხადებების დასაბეჭდნ. ამბობენ, ეს ვანცხა-

